გია თომაძე

ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კერძო
ქირურგიის №1 მიმართულების სრული პროფესორი,
გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრის
ზოგად-ქირურგიული კლინიკის დირექტორი.

დაიბადა 1955 წლის 19 აგვისტოს თბილისში. ჰყავს მეუღლე (ლალი ახმეტელი) და ორი შვილი.

1972 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 75-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1978 წელს წარჩინების დიპლომით - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

სამუშაო კარიერა დაიწყო ექთნის თანამდებობით, 1975 წელს სტუდენტობის პერიოდში მუშაობდა მურმანსკის ოლქის ქალაქ მონჩეგორსკის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ექთნად.

1979-81 წწ სწავლობდა კლინიკურ ორდინატურაში ქ. მოსკოვში, ქირურგიის საკავშირო სამეცნიერო ცენტრში, პორტული ჰიპერტენზიის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის გადაუდებელი ქირურგიის განყოფილების ბაზაზე.

1981-84 წწ იქვე გაიარა კლინიკური ასპირანტურა, ხოლო 1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “პანკრეასის სადინრების ოკლუზიის კლინიკური გამოყენების ექსპერიმენტული დასაბუთება”. 1983-84 წწ შეთავსებით ვუშაობდა მოსკოვის მე-20 კლინიკური საავადმყოფოს პორტული ჰიპერტენზიის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის გადაუდებელი ქირურგიის განყოფილების პასუხისმგებელ ქირურგად.

1984 წლიდან მან გაიარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ქირურგიულ სნეულებათა კათედრის ყველა აკადემიური საფეხური ასისტენტობიდან დაწყებული, დოცენტის (1994-1996) და პროფესორის თანამდებობისა და წოდების ჩათვლით (1996 წ – დღემდე). 2009 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის კერძო ქირურგიის N1 მიმართულებას.

1988-89 წწ გაიარა სამეცნიერო სტაჟირება აშშ-ს მინესოტის უნივერსიტეტის ქირურგიულ კლინიკაში ქალაქ მინეაპოლისში პანკრეასისა და თირკმლის კომბინირებული გადანერგვის მიმართულებით. მონაწილეობას იღებდა დონორთა ქირურგიული ბრიგადის მუშაობაში. დაამუშავა კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევა პანკრეასისა და თირკმლის ერთობლივ გადანერგვაზე, რის საფუძველზეც 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “შაქრიანი დიაბეტის ქირურგიული მკურნალობა (პანკრეასისა და თირკმლის კომბინირებული გადანერგვა)”. აღსანიშნავია, რომ მისი სადოქტორო დისერტაცია მიჩნეული იქნა 1991-93 წლებში შესრულებულ სამედიცინო პროფილის დისერტაციათა შორის საუკეთესოდ.

იგი არის საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის დამფუძნებელი პრეზიდენტი (1997 წელი), .ევროპის

giatomadze@gmail.com

ტრანსპლანტაციის კოორდინატორთა ორგანიზაციის წევრი (1997 წლიდან), ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის წევრი (1998 წლიდან), ამავე კოლეჯის საქართველოს სექციის ხელმძღვანელი 2005 წლიდან და მმართველთა საბჭოს წევრი 2007 წლიდან. ევროპის ქირურგთა ასოციაციის წევრი 1998 წლიდან, საქართველოს ექიმთა და ქირურგთა ასოციაციების წევრი 1999 წლიდან, ევროსაბჭოს ექსპერტთა კომიტეტის წევრი ტრანსპლანტაციის დარგში 2000 წლიდან, ევროპის ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის წევრი 2001 წლიდან.

2007 წლის ივნის-ივლისში გაიარა სტაჟირება ჟენევის ვისცერული ქირურგიისა და ტრანსპლანტაციის განყოფილებაში, ხოლო 2011 წელს - თურქეთის ქალაქ იზმირის კენტის ჰოსპიტალში ღვიძლის გადან-ერგვასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად.

აქვს 120-ზე მეტი ნაბეჭდი სამეცნიერო ნაშრომი, 2 გამოგონება და 8 რაციონალიზატორული წინადადება. შრომების დიდი ნაწილი ეძღვნება გადაუდებელი ქირურგიისა და ორგანოთა გადანერგვის პრობლემებს.

დაჯილდოებულია

- ღირსების ორდენით (2012 წელი);
- ღირსების მედლით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ქირურგად მონაწილეობისათვის (1992-93 წწ. სოხუმი, ოჩამჩირე);
- გრიგოლ მუხაძის სახელობის მედლით - ქირურგიის დარგში გაწეული მუშაობისთვის (2002 წელი).

giatomadze@gmail.com